


Erasmus+ - სტუ-ს პროფესორის ლექციები შჩეცინის ვესტ-პომერანიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში

2019 წლის 06-10 მაისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი ირინე გოცირიძე, ERASMUS+ მობილობის პროექტის ფარგლებში, იმყოფებოდა პროექტის კოორდინატორ შჩეცინის დასავლეთ პომერანიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში (West Pomeranian University of Technology – WPUT), (შჩეცინი, პოლონეთი), აკადემიური პერსონალის მობილობით.

ლექციების თემატიკა ეხებოდა ბიოსამედიცინო ინჟინერიის და სამედიცინო ინფორმატიკის აქტუალურ საკითხებს, კერძოდ ბიონისტრუმენტაციის, ხელოვნური ორგანოების და ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების მიმოხილვას. შედგა შეხვედრები ვესტ-პომერანიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტის ელექტრული ინჟინერიის ფაკულტეტის პროფესორ მარჩინ ჟიოლკოვსკისთან და ERASMUS პროექტების კოორდინატორ, ქალბატონ აგატა ბრუსკასთან.



განხილული იყო სტუ-ს და ვესტ-პომერანიის შჩეცინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტებს შორის მიმდინარე და მომავალი პროექტების განხორციელების საკითხები. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ვესტ-პომერანიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის, მიზნით სტუ-ს ბიოსამედიცინო ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრებს და დოქტორანტებს მიეცათ საშუალება სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი განახორციელონ ვესტ პომერანიის უნივერსიტეტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ბაზაზე.



საპარტნიორო ურთიერთობების განვითარებისთვის განხილული იქნა შესაძლებლობა ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „Biomedical Engineering“ განხორციელების პერსპექტივა, და ამ პროექტში შჩეცინის სამედიცინო

უნივერსიტეტის - Pomorski Uniwersytet Medyczny ჩართვის შესაძლებლობები. მონიტორინგის მიზნით, პროფ. ირინე გოცირიძე, ასევე, შეხვდა სტუ-ს ბიოსამედიცინო ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამის, ამჟამად ვესტ-პომერანიის უნივერსიტეტში ერაზმუს-მობილობით მყოფ სტუდენტს ავრამ ბადალოვს, რათა მასთან ესაუბრა მისი, როგორც ერაზმუს სტუდენტის შთაბეჭდილებებზე და გამოცდილებაზე.